



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №05

2012 წლის 26 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

დამტკიცებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 აგვისტოს №9 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

№-	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	გამგებელი	2360
2	გამგებლის მოადგილე	900
3	გამგეობის სამსახურის უფროსი	700
4	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	500
5	გამგებლის თანაშემწე, – უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	450
6	მთავარი სპეციალისტი, – უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	420
7	გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი გამგეობის რწმუნებული, წამყვანი სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	400
8	სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	400
9	ტერიტორიული ორგანოს წამყვანი სპეციალისტი-უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	300
10	ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი – უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	220
11	ჩაქვის სახანძრო ნაწილის უფროსი	500
12	დამხმარე მოსამსახურე - მძღოლი	350
13	დამხმარე მოსამსახურე - დამლაგებელი	250
14	ცვლის უფროსი	450
15	მეხანძრე	400

